# საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
## სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

KA011868904541417

საქართველო, თბილისი 0154, აკ. წერეთლის გამზ. № 67ა, ტელ: (+995 32) 2 40 10 10 ცხელი ხაზი:(+995 32)2-40-40-20,
ელ.ფოსტა:online@sda.gov.ge, ვებ-გვერდი:www.psda.gov.ge

**13 / ივნისი / 2017 წ.**

**N 01/153878**

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება
„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“
მთავარი კომიტეტის წევრს,
ბატონ დიმიტრი ლორთქიფანიძეს

თბილისი, აბულაძის ქუჩა №8

ბატონო დიმიტრი,

სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ“ თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილა თქვენი 2017 წლის 4 აპრილის N03/005 წერილი, რომლის პასუხად გაცნობებთ, რომ სხვა ქვეყნის მოქალაქეთათვის საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭების საფუძველია საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი და „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის მე-17 მუხლი.

თქვენი მოთხოვნის შესაბამისად, დანართის სახით წარმოგიდგენთ სტატისტიკურ ინფორმაციას სხვა ქვეყნის მოქალაქეთათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებისა და ბინადრობის ნებართვის მიღების შესახებ წლებისა და მოქალაქეობის მითითებით (მონაცემთა ელექტრონული ბაზის 2017 წლის 27 აპრილის მდგომარეობით).

რაც შეეხება თქვენი განცხადების მე-3 პუნქტს, გაცნობებთ, რომ წერილი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული“ კოდექსის მე-80 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, უფლებამოსილების ფარგლებში განსახილველად გადაეგზავნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს.

დანართი: Excel-ის ფაილი.

პატივისცემით,

სახელმწიფო სერვისების განვითარების
სააგენტოს საჯარო ინფორმაციის
ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირი

ნინო დანელია